



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბრძანება № MOH 1 22 00000214

ქ. თბილისი

12/12/2022 წელი



**„ძუძუთი კვების მართვა სამშობიარო სახლში ადრეულ ნეონატალურ პერიოდში“ -
კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური
მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების
თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
2009 წლის 14 აპრილის №152/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. „ძუძუთი კვების მართვა სამშობიარო სახლში ადრეულ ნეონატალურ პერიოდში“
- კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური
მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების
თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
2009 წლის 14 აპრილის №152/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. ბრძანების:

ა) პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ¹“ და „კ²“
ქვეპუნქტების, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018
წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2
პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**“;

ბ) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) 35 და მეტი გესტაციის ახალშობილთა ძუძუთი კვება სამშობიაროში“ - კლინიკური
მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) (დანართი №2).“.

**2. ბრძანებით დამტკიცებული დანართი N2 („35 და მეტი გესტაციის ახალშობილთა
ძუძუთი კვება სამშობიაროში“) - კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო
სტანდარტი (პროტოკოლი) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.**

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი
ზურაბ აზარაშვილი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

